

ი ს ლ ა მ ი

ისლამი („ ალ-ისლამ“ - ალაჰისადმი თავის მიცემა, მორჩილება) სამიდან ერთ-ერთი მკაცრად მონოთეისტური რელიგიაა, რომელიც იუდაიზმისა და ქრისტიანობის შემდეგ წარმოიშვა (მე-7 ს.). იგი ორივე ზემოთხსენებულ რელიგიისა და ზეპირ ტრადიციებს მოიცავს. ეს ტრადიციები, მუსლიმთა რწმენით, შევსებულია ახალი გამოცხადებითა და ახალი საღვთო ლიტერატურით. ესაა ყურანი, რომელიც, მათი აზრით, მანამდე არსებულ ყველა საღვთო გამოცხადებას ავსებს, აზუსტებს და აგვირგვინებს.

მუსლიმთა რწმენით, ყურანი ალაჰის წმინდა უწყებაა და მასში არც მუჰამედისა და არც ანგელოზების სიტყვები არ არის გადმოცემული. აქედან გამომდინარეობს რწმენა იმისა, რომ ყურანის ტექსტი, ანუ „დედა წიგნისა“, ზეცაშია (ყურანი 43:3). ნაწყვეტები ამ წიგნიდან მუჰამედამდე სხვა წინასწარმეტყველებსაც გამოეცხადა, მაგრამ გამოცხადების სისავსე მხოლოდ მუჰამედს მოემადლა.

ისლამი დაფუძნებულია 6 ძირითად დოგმაზე:

1. ერთი ღმერთის რწმენა;
2. ანგელოზების რწმენა;
3. საღვთო წერილის რწმენა;
4. წინასწარმეტყველთა რწმენა;
5. საყოველთაო აღთქმისა და უკანასკნელი სამსჯავროს რწმენა - მაადი;
6. ბედისწერის რწმენა - კადარი;

ისლამში არსებობს სხვადასხვა მიმდინარეობები: სუნიზმი (არაბულიდან - წმინდა გადმოცემას, ტრადიციას ნიშნავს), შიიზმი („შია“-ამხანაგებს, მეგობართა პარტიას ნიშნავს). პირველნი უმრავლესობაში არიან, მეორენი კი - უმცირესობაში.

სუნიტები აღიარებენ მოჰამედის მემკვიდრედ, ხალიფებად აბუ ბაქრს, ომარსა და ოსმანს. შიიტები კანონიერ ხალიფად მხოლოდ მოჰამედის ასულს ფატიმასა და მის მეუღლეს ალის შთამომავლებს მიიჩნევენ.

ამ ორ დიდ მიმდინარეობის გარდა ისლამში აღინიშნება სხვა მიმდინარეობებიც: ხარიჯიტები, სუფისტები, ვაჰაბისტები.

ძველ ქართულ წყაროებში ისლამს მოჰამედის რჯული ეწოდება.

საქართველოში ისლამის გავრცელება არაბობის ხანიდან მე-7-9 სს. დაიწყო.

არაბმა ხალიფმა ხაბიბ იბნ მასლამა ალ-ფიჰრიმ სომხეთი და საქართველო დაიპყრო. თბილისის მოსახლეობას მან მისცა „დაცვის სიგელი“. ქართველებს ან ისლამი უნდა აღიარებინათ ან ხარკი, ნაცვლად კი - მშვიდობისა და ხელშეუხებლობის გარანტია. ქართველებმა ხარკის გადახდა ირჩიეს. ისლამის გასავცელებლად იყო მივლენილი რჯულის მეცნიერი აბდ ჯაზ ას-სულამი. დაიწყო ინტენსიური ისლამიზაცია. პირველი მუსლიმთა გაერთიანება შეიქმნა თბილისში და დემანისში. სამხრეთ საქართველოს (აჭარის, ტაო-კლარჯეთისა და სამცხე-ჯავახეთის) ისლამიზაციას ადგილი ჰქონდა მე-17-18 სს. ამავდროულად ისლამი ოსმალეთის მიერ დაპყრობილ აფხაზეთშიც გავრცელდა. ისლამს უფრო მეტად თავადაზნაურები იღებდნენ, დაბალი ფენა კი ადგილობრივი რელიგიური ტრადიციების ერთგული რჩებოდა. კახეთიდან შაჰ-აბასმა ქართველები ირანს გადაასახლა(ფერეიდანი) და გაამაჰმადიანა, აგრეთვე ინგილოებიც, რომლებიც ზაქათალაში, ბელაქანში და კახში (აზერბაიჯანი) ცხოვრობენ.

მე 19 ს. 30-ან წლებიდან რუსეთის იმპერია იწყებს ომებს ოსმალეთის წინააღმდეგ, რამაც დააშინა ქართველი მუსლიმები და რჯულის დაკარგვის შიშის გამო მრავალმა მათგანმა თურქეთს შეაფარა თავი. მაგრამ ქართველი ინტილიგენციის ძალისხმევით ემიგრაცია შეწყდა და ბევრი მუჰაჯირი მამაპაპურ კერას დაუბრუნდა.

საქართველოში ისლამის მიმდევრად თავს 433.784 მოქალაქე მიიჩნევს. დღეისათვის 286 მეჩეთი და სალოცავი სახლი მოქმედებს. საქართველოში მაცხოვრებელი მაჰმადიანები გამოირჩევიან მსოფლიო მაჰმადიანებისგან იმით, რომ ერთ მეჩეთში ერთად ატარებენ ერთად მსახურებას სუნიტები და შიიტები.